ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78. 78261073**

თარიღი:**17/04/2026**

არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის'' (ს/ნ 437979555) წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, 106^1 მუხლის, საქართველოს კანონის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 61-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1.დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის (ს/ნ 437979555) ,,ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის'' (ს/ნ 437979555) წესდება დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ონის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 ოქტომბრის Nბ78.78232793 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის'' (ს/ნ 437979555) წესდება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის'' VIII თავის 22-ე მუხლის მიხედვით მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. N13).

დავით ლობჟანიძე

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი